საქართველოს მთავრობის

დადგენილება №468

2012 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის №183 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის №183 დადგენილებაში (სსმ, №84, 12.07.2010წ.) და დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1“ პუნქტი:

„1^1.სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან:

ა) ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი;

ბ) საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;

გ) საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე;

დ) საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი;

ე) „ქართული სპორტის მუზეუმი.“.

2. დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3^1“ პუნქტი:

„3^1. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე იმავდროულად არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**